საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი

ვახტანგ (ალმასხან) ბატნიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (22. VI. 1761 – 28. X. 1814, პეტერბურგი), ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე. ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ საუფლისწულოდ მიიღო არაგვის საერისთავო, აქტიურად მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში მხარს უჭერდა ძმებს – იულონს და ფარნაოზს, ოპოზიციაში ედგა უფროს ძმას, გიორგის. 1802 რუსთა წინააღმდეგ თავადაზნაურთა გამოსვლის პერიოდში რუსებმა შეიპყრეს და დარეჯან დედოფალთან ერთად ავლაბრის სასახლეში დაატუსაღეს; 1803 თებერვალში სამეფო სახლის სხვა წევრებთან ერთად პეტერბურგში გაასახლეს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში. ვ. ბ-მა განაახლა კანონმდებლობა არაგვის საერისთავოსათვის „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა” და სხვ. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მისმა ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ.

თხზ.: ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა..., ს. კაკაბაძის *გამოც.*, ტფ., 1914; Обозрение истории грузинского народа, СПб., 1914.

წყარო და *ლიტ.*: ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის *გამოც.*, თბ., 1941; იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტსისა, ა.

გაწერელიას *გამოც.*, ტფ., 1936; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1965.

დ. მეგრელაძე